საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК ▪ ТК КП ГРУЗИИ ▪ СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი | № 151 (10237) | შაბათი, 28 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მის აღმატებულებას ბ-ნ ნ. ა. ბულგანინს

საბჭოთა კავშირში ჩემი ვიზიტის დამთავრებისას, მსურს გადმოგცეთ ჩემი გულწრფელი მადლობა მთელი იმ ყურადღებისათვის, კეთილმოსურნეობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ და თქვენმა კოლეგებმა აღმომიჩინეს, აგრეთვე მსურს, რომ იცოდეთ, რაოდენ დიდად ვარ ნასიამოვნები სიყვარულის სტიქიური დემონსტრაციით, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხი იჩენდა, სადაც უნდა მივსულიყავი. ადგილები, რომლებიც ვნახე, და ადამიანები, რომლებსაც შევხვდი, მუდამ ცოცხალი იქნებიან ჩემს ხსოვნაში. თუ ჩემმა ვიზიტმა ხელი შეუწყო ჩვენი შორის ... უფრო ღრმა ურთიერთგაგებას და ჩვენს მეგობრობას, აგრეთვე ჩვენს მისწრაფებას ვიმუშაოთ საერთო კეთილდღეობისათვის, მაშინ ვიგრძნობ, რომ საკმაოდ დაჯილდოებული ვარ.

ველოდები თქვენთან შეხვედრას ინდოეთში.

ჯავაჰარლალ ნერუ.

ვარშავა, 1955 წლის 25 ივნისი.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები ურყევია!

დღეს სრულდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის ათი წელი. სან-ფრანცისკოში, სადაც მოხდა ისტორიის ეს ღირსშესანიშნავი ამბავი, მუშაობას ამთავრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია. ყველა ქვეყნის ხალხებს დიდი იმედი აქვთ, რომ ეს სესია გახდება დასაბამი მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული ახალი ღონისძიებებისა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი 21 ივნისს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისადმი მიძღვნილ მიტინგზე მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიას და გამოთქვა საბჭოთა კავშირის ხალხებისა და საბჭოთა მთავრობის მხურვალე სურვილი, რომ მსოფლიოს ხალხთა ამ ორგანომ კვლავაც მტკიცედ იშრომოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების იდეალების განსახორციელებლად საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. „ჩვენი ქვეყანა და მთავრობა, — თქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, — ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ხელი შეუწყონ ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელებას“.

ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა სან-ფრანცისკოში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლას, რომელმაც ღრმა ანალიზი გაუკეთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას განვლილ ათ წელიწადში და ილაპარაკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსპექტივებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1945 წლის 26 ივნისს, იყო შედეგი სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ორმოცდაათი სახელმწიფოს ნაყოფიერი თანამშრომლობისა და უწინარეს ყოვლისა შედეგი საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მეგობრული თანამშრომლობისა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში. „იხსნას მომავალი თაობანი ომის უბედურებათაგან“, — ასე იყო ფორმულირებული წესდებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი და უმაღლესი ამოცანა.

წესდებაში ზღვრული სიზუსტით არის ჩამოყალიბებული ის დიადი და კეთილშობილური პრინციპები, რომელთა განუხრელი დაცვა ქმნის ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების დამყარების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის უდიდეს შესაძლებლობებს. ეს ფუძემდებელი პრინციპებია: ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევა; საერთაშორისო თანამშრომლობა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, საერთაშორისო დავის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრა; საერთაშორისო საქმეებში ძალის გამოყენების მუქარისაგან თავის შეკავება; თანამშრომლობა ეკონომიური, სოციალური, კულტურული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში; ყველა ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უთუო შესრულება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას ქვაკუთხედად დაედო წესდებაში ჩაწერილი წესი ხუთი დიდი სახელმწიფოს — უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთსულოვნებისა. უშიშროების საბჭოს აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემების მქონე სახელმწიფოთა თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპის მტკიცედ აღიარება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათი წლის ისტორიამ სავსებით ცხადყო, რომ ყველა შემთხვევაში, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოქმედებდა წესდების შინაარსისა და ფორმის შესაბამისად, როცა იგი ხელმძღვანელობდა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესებით, — ეს სასარგებლო იყო მშვიდობის საქმისათვის, ხელს უწყობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას.

ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობამ ბევრ რამეში ვერ გაამართლა ხალხების მიერ მასზე დამყარებული იმედები. მთელ რიგ შემთხვევებში, — მათ შორის კორეის საკითხში, — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მდგომარეობის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა.

ვერავინ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, ვერ შეურიგდება იმას, რომ დღემდე აღდგენილი არ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უდავო უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის დიდი ხარვეზია ის ფაქტიც, რომ დღემდე მის რიგებში მიღებული არ არის ბევრი სახელმწიფო, რომლებსაც სრული უფლება აქვთ იყონ ორგანიზაციის წევრები.

განვლილ ათ წელიწადში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ნაკლოვანებათა მიზეზები საიდუმლოებას როდი წარმოადგენენ. ეს მიზეზები ის არის, რომ მთელი რიგი სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები, დაადგნენ წესდების ძირითად დებულებათა დარღვევის გზას, უარყოფენ სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას. მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება აცხადებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი „თავის საერთაშორისო ურთიერთობაში თავს იკავებს ძალის მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან“, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთ პოლიტიკად ოფიციალურად გამოაცხადეს „ძალის პოზიციის“ უბადრუკი პოლიტიკა — გამალებული შეიარაღება, აგრესიული ბლოკების შეკოწიწება, სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნის პოლიტიკა.

მშვენივრად აქვთ რა შეგნებული, რომ ყველა ეს მოქმედება შეურიგებლად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის სულისჩამდგმელნი მოითხოვენ წესდების გადასინჯვას ისე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოიყენონ თავიანთი საგარეო პოლიტიკის იარაღად.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ უარყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი პრინციპების რაიმე ხელყოფას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა იყოს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი და არა იარაღი ამა თუ იმ დაჯგუფებისა, რომელიც მას თავისი ვიწრო ანგარებითი მიზნებისათვის იყენებს!

ხელმძღვანელობს რა ლენინური საგარეო პოლიტიკის დიადი პრინციპებით, საბჭოთა მთავრობა მუდამ იბრძოდა და იბრძვის ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ეს პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები ახორციელებენ, სულ ახალ დადებით შედეგებს იძლევა.

იმ ინიციატივის მეოხებით, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა და რომელსაც სხვა დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს, შეწყდა ომი კორეასა და ინდოჩინეთში, დაიდო სახელმწიფო ხელშეკრულება ავსტრიასთან. საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის მოწესრიგება, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის განმტკიცება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი განცხადების საფუძველზე, რომელსაც ამას წინათ ხელი მოაწერეს მოსკოვში, და საბჭოთა მთავრობის მთელი რიგი სხვა ნაბიჯები, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის წინადადებას სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ამ სისტემაში ევროპის ყველა ქვეყნის მონაწილეობას, დამოუკიდებლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, აგრეთვე შეერთებული შტატების მონაწილეობას. უკანასკნელ წლებში დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ შექმნილი კარჩაკეტული სამხედრო დაჯგუფებებისაგან განსხვავებით კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემა სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ფართოდ ცნობილია საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე. ეს წინადადებანი ითვალისწინებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, საერთაშორისო ურთიერთობაში საჭირო ნდობის შექმნას, ხალხთა მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრებისათვის პირობების უზრუნველყოფას. ახლა საქმე დასავლეთ სახელმწიფოებზეა.

ივლისის მეორე ნახევარში გაიმართება ოთხი სახელმწიფოს: საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირი. ამ თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ ყველა მისი მონაწილე გამოიჩენს ნამდვილ მისწრაფებას საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისადმი, მომწიფებული პრობლემების მოწესრიგებისადმი, მშვიდობის განმტკიცებისადმი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის მოქმედება ცხადყოფს, რომ იგი სიტყვით კი არა, საქმით ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურყევ პრინციპებს. საბჭოთა ხალხი შეუდრეკელია თავის მისწრაფებაში დაიცვას მშვიდობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამას ესწრაფვის აგრეთვე მსოფლიოს ყველა სხვა ხალხი, მათ შორის ამერიკელი ხალხიც. სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ხალხთა შორის ურთიერთნდობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის აღდგენა მშვიდობის ინტერესებისათვის შეიძლება მიღწეულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას მიღწეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების საფუძველზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის პირველი ათეული წლის გამოცდილებამ, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სერიოზული მარცხებისა, სავსებით დაადასტურა სამართლიანობა და პროგრესულობა საერთაშორისო პრინციპებისა, რომლებსაც იგი ემყარება. ეს პრინციპები სულ უფრო ფართოდ გამოიხატება მრავალი საერთაშორისო აქტით. მათს ასახვას ვხედავთ ინდოეთის რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივი დეკლარაციის ცნობილ ხუთ პრინციპში, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის დეკლარაციის ათ პრინციპში, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დეკლარაციაში, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივ განცხადებაში, აგრეთვე სხვა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტებში.

მეორე ათეული წლის მიჯნაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დასახულია დიდი და კეთილშობილური ამოცანები. პირველი და მთავარი მათ შორის არის ომის თავიდან აცილება, ხალხებისათვის მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრების უზრუნველყოფა. მსოფლიოს ხალხები მოელიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უკეთ და უფრო ეფექტიანად იმუშავებს, რომ მისი საქმიანობა აყვანილ იქნება უფრო მაღალ საფეხურზე, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურყევი საძირკველი — მისი წესდება. ჯერ არასოდეს ისე მაღალი არ ყოფილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ხალხთა მომავლისათვის, მშვიდობისათვის, როგორც ამჟამად.

საბჭოთა კავშირი აკეთებს და კვლავ გააკეთებს ყოველივეს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა მხარი დაუჭიროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება.

„პრავდის“ 26/VI მოწინავე.

# ჩვენს დიად სამშობლოში

## დნეპრის გადახიდვის წინ

ნოვაია კახოვკა, 25 ივნისი. (საკდესი). უკრაინის ამ ახალგაზრდა ქალაქის რაიონში დნეპრი რამდენიმე დღის შემდეგ შეიცვლის ძველ კალაპოტს. მალე მას გზას გადაუღობავს მძლავრი კაშხალი. ახალ კალაპოტში გადასული დნეპრი აამოძრავებს კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებს, რომლებიც წელსვე მოგვცემენ სამრეწველო დენს.

კაშხალის მშენებლებს გაცხოველებული მუშაობა აქვთ. ასობით ავტოთვითსაცლელით ორივე ნაპირიდან დღედაღამ მოაქვთ ქვა და ყრიან მდინარეში. დნეპრის კალაპოტი დღითიდღე ვიწროვდება, მდინარის დინება ამ ადგილას სულ უფრო სწრაფი ხდება. მდინარე რომ საბოლოოდ გადახიდონ, აქ გაკეთდება ტივტივა ხიდი, საიდანაც გადაიყრება ქვა.

მალე დამთავრდება ტივტივა ხიდის მშენებლობა და მონტაჟი. ხუროების ამხ. პროკოფიევის, პენდალენკოს, ვასილენკოს და პობივაილოს ბრიგადებმა ამხ. მარტიშჩენკოს ბრიგადის ზეინკლებთან თანამშრომლობით ვადამდე დაამთავრეს მონტაჟის სამუშაოები.

დნეპრის გადახიდვისათვის ჰიდრომექანიზატორებიც ემზადებიან.

## დაიწყო ნარვის წყალსაცავის ავსება

ნარვა, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს ნარვის წყალმა, რომელმაც მდინარის კალაპოტის გადახიდვის შედეგად ერთი მეტრი მოიმატა, დაიწყო ნარვის მომავალი ზღვის კალაპოტის ამოვსება. წყალსაშვები კაშხალის უკანასკნელი რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ წყლის დონე რამდენიმე მეტრით აიწევს, შეიქმნება სანაოსნო წყალსაცავი 20 ათასი ჰექტარი ფართობით.

შრომითი გმირობა გამოიჩინეს მშენებლებმა მდინარის გადახიდვის დროს. მუშაობა აქ მიმდინარეობდა დღისით და ღამით. სწრაფი მდინარის დინებას მიჰქონდა მთლიანი გრუნტი და ვეებერთელა კაჭრები. ინჟინერ რ. ბუკატას წინადადებით ზღუდარის უკანასკნელ უბანზე დაიდგა რელსის საფარები, რის შემდეგაც ჰიდრომექანიზატორებმა დაიწყეს კლდისა და მიწის გრუნტის ჩაყრა ზღუდარში.

ჰიდროელექტროსადგურის სათავო კვანძზე დამთავრდა მშენებლობა წყალმიმღები ნაგებობისა, რომელიც წყალსაშვები კაშხალის ახლოს მდებარეობს.

ნარვის ახალი ხელოვნური კალაპოტი მთელ მანძილზე ბეტონშია ჩასმული. მალე წყალი წავა ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებისაკენ.

## გაზეთ „პრავდის“ 1912 წლის ეგზემპლარი

ნიკოპოლი. (საკდესი). ნიკოპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შჩორსის სახელობის არტელის მუშებმა გადასცეს ბოლშევიკური გაზეთის „პრავდის“ 1912 წლის № 40 ეგზემპლარი. გაზეთი იპოვნეს ძველი პურსაცხობის შენობის დანგრევის დროს.

გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ვ. მ. მოლოტოვის სტატია „ახალი განმარტება“, რომელიც ამხილებს 1907 წლის 3 ივნისის რეაქციულ კანონს, რომლითაც მშრომელთა ბევრ კატეგორიას სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ერთმეოდა. გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია მრავალი ცნობა საწარმოებიდან.



მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საბჭოთა მეურნეობების პავილიონში ექსკურსანტები დიდი ყურადღებით ეცნობიან ალტაის მხარის კულუნდის რაიონის ყამირ მიწებზე 1954 წლის მარტში შექმნილი მოწინავე საბჭოთა მეურნეობა „რომანოვსკის“ მუშაობას.

ამ საბჭოთა მეურნეობამ ერთ წელიწადში მოიპოვა 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება. მეურნეობას 22.322 ჰექტარი მიწა აქვს. გასული წლის გაზაფხულზე მეურნეობამ აითვისა 5.000 ჰექტარზე მეტი ყამირი, რომელზეც დათესა საგაზაფხულო ხორბალი. საშუალოდ ჰექტარზე მეურნეობამ 105 ფუთი მარცვლეული მიიღო.

წელს მარცვლეულ კულტურებს უჭირავს 20 ათასი ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა. დიდ ფართობზე გამოყენებულია ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვა, შექმნილია უხვი მოსავლის მტკიცე საფუძველი.

სურათზე: საქართველოს სს რესპუბლიკიდან ჩამოსული ექსკურსანტები საბჭოთა მეურნეობა „რომანოვსკის“ სტენდთან. ფოტო ლ. ველიკჟანინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ახალი მონაწილენი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა 1955 წლის გამოფენის მონაწილედ დაამტკიცა აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქი იმისათვის, რომ 1954 წელს მან მიიღო მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი, ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა და ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის გეგმა.

* * *

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა შესაძლოდ მიიჩნია დაამტკიცოს ადგილებიდან წარდგინებით 1955 წლის გამოფენის მონაწილეებად მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები, რომლებმაც 1955 წელს აჩვენეს შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშები და გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვაზე მუშაობის, სათოხნი კულტურების მოვლის, საკვების დამზადებისა და მოსავლის აღების დაწესებული მაჩვენებლები.

## ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ აჯანყების 50 წლისთავის აღსანიშნავად

ოდესა, 26 ივნისი. (საკდესი). დღეს დილიდან ათასობით ადამიანი შეიკრიბა ზღვისპირა ბულვარში და ლანჟერონის სანაპიროზე. მათი ყურადღება მიიპყრეს შავი ზღვის ესკადრის საბრძოლო ხომალდებმა, რომლებმაც გუშინ საღამოს ღუზა ჩაუშვეს რეიდზე, სადაც 50 წლის წინათ იდგა ლეგენდარული ჯავშნოსანი „პოტიომკინი“.

...ზედიზედ სახაზო გემ „სევასტოპოლიდან“ და სხვა ხომალდებიდან მოდიან ჩქარმავალი კატერები. ნაპირზე კოლონებად დაწყობილი სამხედრო მეზღვაურები ქალაქზე გავლით მიდიან ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ აჯანყების ორგანიზატორის ბოლშევიკ გრიგოლ ვაკულენჩუკისა და გემების კომისიის წევრის პეტრე ალექსეევის საფლავებზე.

მატროსების კოლონების წინ სახელოვანი შავზღვეოლების საბრძოლო დროშებით მიდიან რევოლუციის ჭაღარა ვეტერანები — ჯავშნოსან „პოტიომკინის“ ტრიუმის მემანქანე ა. ფ. ცარევი, ჯავშნოსან „გეორგი პობედონოსეცის“ ნალმსატყორცნის მემანქანე მ. პ. პამფილოვი და სასწავლო ხომალდის „პრუტის“ ნალმსატყორცნის მემანქანე ა. მ. ლებედი.

იწყება შავი ზღვის ფლოტში 1905 წლის რევოლუციის გმირების ძეგლის გვირგვინებით საზეიმო შემკობა. ცოცხალი ყვავილებისა და მუხის ფოთლებისაგან შეკრული გვირგვინების ლენტებს აწერია: „ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ აჯანყების გმირს გ. ნ. ვაკულენჩუკს — შავი ზღვის ფლოტის სამხედრო მეზღვაურებისაგან“, „სახელოვან რუს მეზღვაურებს — ნ ხომალდის პირადი შემადგენლობისაგან“.

თავიანთი მებრძოლი მეგობრებისა და ამხანაგების საფლავებს ცოცხალი ყვავილების უზარმაზარი ჰირლანდებით ამკობენ ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ და მის მომხრე ხომალდებზე „გეორგი პობედონოსეცზე“ და „პრუტზე“ აჯანყების მონაწილენი. მათ შემდეგ მოდის სევასტოპოლის დელეგაცია. ყვავილების გორა ძეგლის გარშემო იზრდება. სამგლოვიარო მარში ცვლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდია.

* * *

სამხედრო მეზღვაურებმა სტუმრად მიიწვიეს ქალაქის მშრომელთა დელეგაცია, რათა გაეცნონ მათ ყოფაცხოვრება ხომალდებზე. დღეს ათასობით ადამიანმა ნახა სამახსოვრო ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ოდესაში 1905 წლის რევოლუციურ ამბებთან. პარკებში, სკვერებში და ბულვარებზე სახალხო სეირნობა გაიმართა.

## ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაცია საქართველოში

ოთხ დღეს იყვნენ საქართველოში ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაციის წევრები. დელეგაციას მეთაურობს ინდოეთის ირიგაციისა და ენერგეტიკის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კანვარ სენი.

ინდოეთის თანამდებობის პირებმა და სპეციალისტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შესწავლისადმი. ისინი დაიყვნენ ჯგუფებად, ინახულეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ქალაქ რუსთავში, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის, გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი, ესაუბრნენ მინისტრებს, ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკებს.

დელეგაციის წევრთა ჯგუფი გაემგზავრა მახარაძის რაიონში. აქ ისინი გაეცნენ სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას, დაათვალიერეს მისი ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, იყვნენ კოლმეურნეთა სახლებში.

მახარაძის რაიონში დელეგაციის წევრებმა ნახეს აგრეთვე ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, იყვნენ ჩაის ფაბრიკებში.

დელეგაცია იყო ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, გორში.

სტუმრები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ ა. ბალანჩივაძის ბალეტის — „მთების გული“ სპექტაკლს და საქართველოს დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა კონცერტს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში.

თბილისიდან გამგზავრების წინ ინდოეთის თანამდებობის პირნი და სპეციალისტები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

26 ივნისს ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაციის ძირითადი ნაწილი კანვარ სენის მეთაურობით თბილისიდან ტაშკენტს გაფრინდა. დელეგაციის წევრთა ჯგუფი კუბასა და ბაქოში გაემგზავრა.

(საქდესი).

## ნახევარი წლის გეგმები შეასრულეს

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის საწარმოებს შორის ზეგეგმითი ქვანახშირის ამოღებაში დაწინაურდნენ:

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი (შახტის უფროსი ბ. ვაჭარაძე), რომელმაც ნახევარი წლის გეგმა 19 ივნისს გაანაღდა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე (ახიბლარის) შახტის კოლექტივი (უფროსი ა. ჭირაქაძე), რომელმაც ქვანახშირის მოპოვების ნახევარი წლის გეგმა 22 ივნისს შეასრულა.

ორივე ეს შახტი ამჟამად ქვანახშირს გვაძლევს წლის მეორე ნახევრის ანგარიშში.

* * *

ამიერკავკასიის რკინიგზამ ვადამდე — 23 ივნისისათვის შეასრულა საშუალო-სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა.

წლიური ნორმის მიხედვით ვადამდე შესრულებულია აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთების — ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე მარგანეცის მადნის გადაზიდვის გეგმები.

* * *

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა (მინისტრი ამხ. გ. ზამბახიძე) საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის დავალება ვადამდე — 22 ივნისისათვის შეასრულეს. ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდის 1955 წლის გეგმა გადაჭარბებულია 3 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის 1954 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელი — 14,9 პროცენტით.

საერთო პროდუქციის გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდებულია 31,6 პროცენტით, გამომწვარი აგურისა — 22,5 პროცენტით, კრამიტისა — ორჯერ და კირისა — 13,5 პროცენტით.

* * *

საგარეჯოს რაიონმა ვადაზე ადრე, 26 ივნისისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმები: ხორცისა — 100,4 პროცენტით, რძისა — 103,7 პროცენტით, კვერცხისა — 100,8 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარება გრძელდება.

# ცნობები საკოლმეურნეო მინდვრებიდან

## პირველი განაღდი პური სახელმწიფოს

სიღნაღი. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ პირველ განაღდ მარცვლეულს. ძლიერდება პურეულის ჩაბარების ტემპი. მარტო ერთ დღეს, 26 ივნისს, „ზაგოტზერნოს“ წნორის ბაზამ მიიღო 475 ტონა ხორბალი.

სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 208 ტონა მარცვლეული, სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობამ კი — 200 ტონაზე მეტი ხორბალი.

პურეულის ჩაბარების ტემპს ყოველდღიურად აძლიერებენ აგრეთვე ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები. სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 66 ტონა ხარისხოვანი ხორბალი, ხოლო ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობამ — 150 ტონა.

## პურეულის მკაში დაწინაურებული კომბაინერები

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). ყოველდღიურად გურჯაანის მტს-ის 15 კომბაინი იღებს თავთავიანი კულტურების მოსავალს. მანქანების შეუფერხებლად მუშაობის შედეგად პურეული უკვე მომკილია 508 ჰექტარზე.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ანაღდებს აგრეგატი, რომლის კომბაინერია ვ. ლუტიძე. მან „სტალინეც-6“ კომბაინით სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 95 ჰექტარზე.

კომბაინერი ს. გოგოლაშვილი მოსავლის აღების დღიურ ნორმას 120-130 პროცენტით ანაღდებს. იგი იბრძვის იმისათვის, რომ სეზონზე „სტალინეც-6“ კომბაინით თავთავიანი კულტურების მოსავალი მომკას 320 ჰექტარზე. დაწინაურდა აგრეთვე თვითმავალ კომბაინზე მომუშავე კომბაინერი ვ. ხუროშვილი.

## ჩაის ფოთლის გადატანა საჰაერო-საბაგირო გზით

მახარაძე. (საკ. კორ.). ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოაწყეს ჩაის ფოთლის გადამტანი საჰაერო-საბაგირო გზა, რომლის სიგრძე 11 კილომეტრია. ეს გზა ლაითურის ჩაის ფაბრიკასთან აკავშირებს მეურნეობის სამ აგროგანყოფილებას. საჰაერო-საბაგირო გზით შესაძლებელია ყოველდღიურად გადაზიდოს ფაბრიკაში 20 ტონამდე ფოთოლი. ამან დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას, ამასთან ფოთლის ხარისხიც უკეთ არის დაცული.

## მეჩაიეთა წარმატებანი

ხობი. (საკ. კორ.). ჩაის კრეფაში დაწინაურდა საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც მაისის დავალება 152 პროცენტით გაანაღდა. ახლა ყოველდღიურად 10.000-13.000 კილოგრამი ფოთოლი იკრიფება. ბრიგადამ, რომელსაც ა. ხუნწუა ხელმძღვანელობს, მაისის დავალება ორმაგად შეასრულა. ბრიგადაში მოკრეფილია 20 ათასი კილოგრამი ჩაი, რაც წლიური გეგმის 65 პროცენტს შეადგენს.

მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრიგადას კოლმეურნეობის გარდამავალი დროშა გადაეცა.

ქ. კევალიშვილი ყოველდღიურად 160-170 კილოგრამ ფოთოლს კრეფს, ნაცვლად 25 კილოგრამისა. მან ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილ ჰექტარ პლანტაციაზე მიიღოს 16.000 კილოგრამი ჩაი.

# დავნერგოთ დონბასელ მეტალურგთა გამოცდილება

მდიდარი საწარმოო გამოცდილების შეძენის შემდეგ დაბრუნდა რუსთავის მეტალურგთა დელეგაცია დონბასიდან, სადაც ამას წინათ სტალინოელ მეტალურგებთან მათ მეტი ლითონისათვის ბრძოლაში სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება გააფორმეს. ეს შეჯიბრება ყოფილი მასწავლებლებისა და მათი ყოფილი მოწაფეების შეჯიბრებაა. სტალინის სახელობის სტალინოს მეტალურგიულ ქარხანაში საუკეთესო ოსტატების უანგარო დახმარებით 400-მდე ქართველი ახალგაზრდა დაეუფლა მეტალურგიულ წარმოებას. ბევრი მათგანის სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს.

რუსთავის მეტალურგთა დელეგაციამ გულდასმით დაათვალიერა სტალინოს, მაკეევკის, ჟდანოვის მეტალურგიული ქარხნები. აქ ისინი ესაუბრნენ თავიანთ ყოფილ მასწავლებლებს, მეტალურგიული წარმოების გამოცდილ სპეციალისტებს, მარტენის საამქროს ოსტატებს მ. ლოგოსტაევსა და ი. სტაროვოიტოვს, მეფოლადე ი. ბიჩკოვს, საბრძმედე საამქროს ოსტატებს ნ. გაპონს, ვ. გორბატოვს და სხვებს. უკრაინელმა თანამოძმეებმა რუსთავის მეტალურგებს დაწვრილებით გააცნეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება და ტექნიკური პროგრესის დარგში მიღწეული წარმატებანი.

სტალინოს მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს დათვალიერებისას რუსთავის მეტალურგები განსაკუთრებით დააინტერესა მეოთხე ღუმელის მუშაობამ. აქ შეცვლილია საკერძის კონსტრუქცია, ღუმელში კაზმის ჩატვირთვის მეთოდი და თანამიმდევრობა. დიდი ყურადღება ექცევა ჩასატვირთავი კაზმის ნედლი კომპონენტების თანაფარდობის დაცვას, კაზმის გასაშუალებას. ყოველივე ეს სტალინოელ მებრძმედეებს ხელს უწყობს ღუმელში დნობის პროცესის უფრო ინტენსიურად წარმართვაში და უცვლელი, იდენტური შემადგენლობის ნადნობთა მიღებაში.

ამავე საამქროში რეკონსტრუირებულია საკაზმე ეზოს მადანსაგრეიფერო ელექტროამწე, რომელიც ჩვენთან, რუსთავის საბრძმედე საამქროს ამავე სისტემის ამწესთან შედარებით გაუმჯობესებული და მარჯვედ მოსახმარია.

საბრძმედე ღუმელის სარქველი ცხელი ჰაერის ჰავლის რეგულირებისათვის ჩვეულებრივად სპილენძისაგან ან ბრინჯაოსაგან მზადდება. სტალინოელებს სარქველი თუჯისაგან დაუმზადებიათ. ამგვარი კონსტრუქციის სარქველი მაღალი ტემპერატურის პირობებში ნაკლებ დეფორმაციას განიცდის, მუშაობს გაცილებით უფრო ხანგრძლივად და შეუფერხებლად, ამასთან ფერადი ლითონის დაზოგვის საშუალებასაც იძლევა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეები თხევადი თუჯის ღუმელში ჩასხმამდე ჩვეულებრივად ერთი, ხოლო ზოგჯერ 1,5 საათის განმავლობაში ახურებენ ჩატვირთულ ჯართს. სტალინოელი მეფოლადეები კი ჯართის გახურების დაწყებიდან 30-35 წუთის შემდეგ მარტენის ღუმელში ასხამენ გათვალისწინებული რაოდენობის თხევადი თუჯის მხოლოდ 70-80 პროცენტს და, როცა ეს მასა გადნება, მას უმატებენ დარჩენილ თხევად თუჯს. დნობის ამ მეთოდის დროს ხდება ჩატვირთვის დროის შემჭიდროება, დნობის პროცესის დაჩქარება, ამასთან იქმნება საწვავის დაზოგვის საშუალებაც.

საყურადღებოა აგრეთვე მარტენის ღუმელების გაგრილება წყლის ნაცვლად ორთქლით. ამ ღონისძიებით სტალინოელი მეტალურგები მნიშვნელოვნად ახანგრძლივებენ მარტენის ღუმელების ლითონის ჩარჩოებისა და ფანჯრების სარქველების გამძლეობას. ღუმელების გაცივების ასეთი პროგრესული მეთოდის შემუშავებისათვის სტალინოს მეტალურგიული ქარხნის მთავარ ინჟინერს პ. გლაზკოვს სტალინური პრემია მიენიჭა.

რუსთავის მემარტენეები ღუმელის ფოლადგადმოსაშვები ხვრელის გვერდებს ცეცხლგამძლე ფხვნილისაგან დამზადებული ცომისებრი მასალით ლესავენ. სტალინოელი მეფოლადეები ასეთ ხვრელს ცეცხლგამძლე აგურით ამოაგებენ ხოლმე, რაც რამდენადმე აადვილებს მის მოვლა-შეკეთებას. ციცხვში ფოლადის გადმოსაშვებ ღარს რუსთავის მეფოლადეები შამოტის ცეცხლგამძლე აგურით ამოაგებენ, სტალინოელი მეტალურგები კი ღარს შიგნიდან ნახშირბადიანი ცეცხლგამძლე შენაზავით აპირკეთებენ. ამ წესით მომზადებული ღარი 4-5-ჯერ უფრო გამძლეა, ამასთან მთლიანად გამორიცხავს ცეცხლგამძლე აგურის ხარჯვას. მარტო ამ რაციონალიზატორული წინადადების წარმოებაში გადმონერგვით რუსთავის მემარტენეებს საშუალება მიეცემათ ცვლაში 5 კალატოზის შრომა დაზოგონ და წელიწადში 800 ათასამდე მანეთის ეკონომია გასწიონ.

მაკეევკის კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ერთ-ერთ საამქროში ღუმელებთან თვალსაჩინო ადგილას მოწყობილია ელექტროდაფა, რომელზეც მეფოლადის მიერ საამქროს ლაბორატორიაში წარდგენილი ფოლადის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგები ნათდება და მეფოლადეს დრო აღარ ეკარგება ლაბორატორიაში ხელმეორედ მისვლაზე.

ქალაქ ჟდანოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა „აზოვსტალში" რუსთავის მეტალურგებმა დაათვალიერეს ე. წ. მოქანავე მარტენის ღუმელები, რომლებშიც ფოლადის ნადნობებს ჟანგბადის გამოყენებით იღებენ. ამის შედეგად აქ დნობათა საშუალო ხანგრძლივობა რამდენიმე საათით შეამჭიდროვეს.

უკრაინელმა მეტალურგებმა რუსთაველ თანამოძმეებს გამოატანეს ახლებურად მუშაობის თავიანთი გამოცდილების ამსახველი ინსტრუქციები და ნახაზები.

რუსთავის მეტალურგთა ვალია ფართოდ დანერგონ წარმოებაში დონბასელი მეტალურგების მდიდარი გამოცდილება.

ლ. ხარბედია,
გ. ბელაშვილი,
„კომუნისტის" კორესპონდენტები.

სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის

# მეგობრის თვალით



როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ერთმანეთს ეჯიბრებიან მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად.

ამ დღეებში ერედველები ესტუმრნენ ბოლნისელ კოლმეურნეებს, რათა გასცნობოდნენ მათი მუშაობის გამოცდილებას და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

სტუმრებს ბოლნისში მეგობრული, გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ერედველებმა პირველად მეცხოველეობის მექანიზებული ფერმა ინახულეს. ფერმის მექანიზაციამ დიდად შეუწყო ხელი პროდუქტიულობის ზრდას. ბოლნისის კოლმეურნეობამ გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 20 ივნისამდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.033 ლიტრი რძე. წინა წლის ამავე პერიოდისათვის მოწველილი იყო მხოლოდ 400 ლიტრი რძე.

სტუმრები დაინტერესდნენ ფერმის მოწინავე მუშაკების ეთერ მანაგაძისა და ივლიტა კაბულევას მუშაობით. ე. მანაგაძემ ერედველებს უამბო, თუ როგორ მიაღწია მან მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხიდან თვითეულზე 1.400 ლიტრი რძისა და ცალკეულ ძროხებზე 3.014 ლიტრი რძის მიღებას. ამხ. მანაგაძემ აღნიშნა, რომ პირუტყვის ბაგურმა და ბაგურ-ბანაკურმა მოვლა-შენახვამ დიდად შეუწყო ხელი პროდუქტიულობის ზრდას, აღნიშნა, რომ ძროხას კვებავს სხვადასხვა სახის, ყუათიანი, ამასთან უპირატესად წვნიანი საკვებით, ძროხის ინდივიდუალური თვისებების — მერძეულობის, ცოცხალი წონის და სხვ. გათვალისწინებით. პირუტყვს აძლევს სპეციალური მანქანით დამსხვრეულ კოპტონს, უხეში საკვებისათვის იყენებს საჭრელ მანქანას.

სტუმრები საფუძვლიანად გაეცნენ მეღორეობის ფერმის მუშაობას. — ჩვენთან, — თქვა ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქრისტესიაშვილმა, — 2 თვის გოჭი 18 კილოგრამს იწონის, თქვენთან კი — 36 კილოგრამს. ორივეს ერთნაირი ჯიშის ღორები გვყავს. მხოლოდ კვებაშია განსხვავება. თქვენ 2 თვემდე გოჭს რძესაც აძლევთ, აგრეთვე იცავთ კვების რეჟიმს. ეს ძალიან კარგია. ამ გამოცდილებას ჩვენ პრაქტიკულად გამოვიყენებთ.

ერედველებმა დაათვალიერეს ვენახი, პურეულისა და სიმინდის ნათესები, კოლმეურნეობის ღვინის მარანი, მექათმეობის ფერმა, კოლმეურნეობის კულტურის სახლი, გაეცნენ აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობას და სხვ.

საღამოს 7 საათია. კოლმეურნეობის კულტურის სახლში თავი მოუყრია 800-მდე კოლმეურნეს. აქ სახელდახელოდ მოწვეულ კრებაზე სიტყვით გამოვიდა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კუხალეიშვილი. მან თქვა: — ძვირფასო სტუმრებო! ჩვენ ყოველთვის გულდასმით ვადევნებთ თვალყურს თქვენი კოლმეურნეობის წარმატებებს. თქვენგან დიდი გამოცდილება შევიძინეთ. განსაკუთრებით მისაბაძია თქვენი მუშაობა პირუტყვის საკვები ბაზის შექმნის საქმეში. თქვენი გამოცდილების საფუძველზე წელს ჩვენ ნაწვერალზე დავთესავთ სიმინდს. დათესილი გვაქვს ერთწლიანი ბალახები, ძირხვენები და პირუტყვის საკვები სხვა კულტურები. მივაღწევთ იმას, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დავამზადოთ სულ მცირე 5 ტონა სილოსი, 20 ცენტნერი უხეში და 7 ცენტნერი კონცენტრირებული საკვები.

ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქრისტესიაშვილმა დამსწრე კოლმეურნეებს გაუზიარა თავისი მუშაობის გამოცდილება და გააცნო ის შთაბეჭდილება, რაც ბოლნისის კოლმეურნეობაში მიიღო. მეცხოველეობისა და მეღორეობის დარგში თქვენი მუშაობა, — თქვა ამხ. ქრისტესიაშვილმა, — მისაბაძია. თქვენ ვენახი 185 ჰექტარზე გაქვთ გაშენებული. ეს კარგია, მხოლოდ საჭიროა თვითეული ჰექტარი მიწა უფრო შემოსავლიანი გავხადოთ. ჩვენ ვენახების მწკრივთა შორის ვთესავთ ლობიოს და ყოველწლიურად ჰექტარზე 9-10 ცენტნერი ლობიოს მოსავალი მოგვყავს. გირჩევთ თქვენც ასე გააკეთოთ. ორი კოლმეურნეობის ურთიერთ შეჯიბრება ხელს შეუწყობს იმ ამოცანის განხორციელებას, რომელიც პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობის წინაშე დააყენეს.

კრების დამთავრების შემდეგ ბოლნისის კოლმეურნეობასთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა ხალხური სიმღერები.

ერედველი სტუმრები კარგი შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ შინ.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: ერედველ და ბოლნისელ კოლმეურნეთა შეხვედრა. წინა პლანზე: ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კუხალეიშვილი ერედველ სტუმრებს ესაუბრება თავის გამოცდილებაზე მეცხოველეობის საქმეში.

ფოტო შ. გოქაძისა.

# დავაჩქაროთ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა

წლევანდელი გაზაფხულის წვიმიანმა ამინდებმა თივის მაღალი მოსავლის მიღების პირობები შექმნა. თეძამის მტს-ის ზონის სოფლების დოესის, ნოსტეს და სხვა კოლმეურნეობები წელს ბუნებრივ თივას ორჯერ უფრო მეტ ფართობზე აიღებენ, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მტს-ს. თავის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის კოლმეურნეობებს თეძამელ მექანიზატორთა დიდი დახმარება ესაჭიროებათ.

სოფელ დოესის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ბალახი უკვე სათიბავია. თიბვის დაგვიანება გარდა იმისა, რომ გააუარესებს ბალახის ხარისხს, შეამცირებს აგრეთვე მეორე გათიბვის გამოსავლიანობას. მაგრამ აქ არ ჩქარობენ. მტს-ის სახელოსნოში სათიბი მანქანის რემონტი გააჭიანურეს. ეს იმას მოწმობს, რომ თეძამის მტს-ი (დირექტორი ამხ. დ. სილაგაძე) მოუმზადებელი შეხვდა თივის აღებას.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ გავრცელებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მორიგეობით შესრულების მავნე პრაქტიკა. სამწუხაროდ, ამის ხელშემწყობნი ზოგჯერ მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკებიც არიან. სოფელ ყარაღაჯის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში ორ დღეს იყო მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი ე. მეტონიძე. მან იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეობის გამგეობისათვის მიეცა მითითება — დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ თივის აღებას, ურჩია ჯერ სიმინდის პირველ თოხნას მორჩით და მერე თივის აღება დაიწყეთო.

სახარბიელო მდგომარეობა არც სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის საქმეშია. მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა აგვიანებს ახალ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას და ძველის რემონტს. სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისათვის მიწის სამუშაოთა დიდი ნაწილი მტს-მა უნდა შეასრულოს, მაგრამ მტს-ის ერთადერთი ბულდოზერი, რომლითაც ეს სამუშაო უნდა შესრულდეს, ხვნაზე მუშაობს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გრაკლის დამხმარე მეურნეობაში. მტს-ის დირექტორი ამხ. დ. სილაგაძე აცხადებს, რა ვუყოთ, ისიც ხომ საქმეა, მტს-ს საფასურს უხდიანო.

თივის აღებასა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტიის კასპის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი თეძამის მტს-ის ზონაში სუსტად იბრძვის კოლმეურნეობებსა და მტს-ში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თივის აღება და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა უნდა დაჩქარდეს. საჭიროა პარტიის კასპის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა თეძამის მტს-ის ზონაში სწრაფად გამოასწოროს ნაკლოვანებანი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## დაიწყო საკვების დასილოსება

დმანისი, 27 ივნისი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო საკვების დასილოსება. სილოსის ჩადებას პირველი შეუდგა სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა. დმანისის მტს-ის მექანიზატორთა დახმარებით აქ უკვე ჩადებულია 200 ტონა სილოსი. წელს არტელი დაასილოსებს 741 ტონა საკვებს.

სილოსის ჩადებას შეუდგნენ აგრეთვე სოფელ დმანისის, განთიადის, ამამლოს კოლმეურნეობები.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „ლაპარაკობენ რადიომსმენელები"

„კომუნისტში" ამ რუბრიკით დაიბეჭდა შენიშვნები და წინადადებები რადიოგადაცემათა შესახებ.

როგორც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ა. კელენჯერიძე გვატყობინებს, რადიომსმენელებმა სამართლიანი და საჭირო შენიშვნები გააკეთეს საქართველოს რადიოგადაცემების შესახებ.

რადიოინფორმაციის მთავარმა სამმართველომ აღნიშნული შენიშვნები გაითვალისწინა თავის მუშაობაში. მიკროფონთან გამოყვანილი იქნენ ცნობილი მეფოლადეები კვახაძე და საპოვი, მარტენის საამქროს უფროსი რადჩენკო, მილსამზადი საამქროს უფროსი ქურდიანი და სხვ. საგრძნობლად გაუმჯობესდა რადიოგადაცემები ბავშვთა კომუნისტური აღზრდის თემებზე, კერძოდ გადაცემები მშობელთათვის; გადაცემული იყო აგრეთვე ექიმის საუბრები სკოლასა და ოჯახში ბავშვთა ჰიგიენის საკითხებზე და ა. შ.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ავტობუსების თბილისის საქალაქთაშორისო სამგზავრო სადგურში უწესრიგობაა. ავტობუსების მძღოლებს უბილეთო მგზავრები გადაჰყავთ პირადი გამორჩენის მიზნით. დისპეტჩერი უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს.

როგორც სამინისტრო გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. თბილისის ავტოსადგურის დისპეტჩერს გ. ლალიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, კონდუქტორ განზდელოვს გამოეცხადა საყვედური.

პარტიული ცხოვრება

# გადამწყვეტი რგოლი

რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნის შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად განხორციელდა, პარტიის აბაშის რაიკომთან მტს-ის ზონის მიხედვით შეიქმნა პარტიულ მუშაკთა ჯგუფი რაიკომის მდივნის მეთაურობით. ინსტრუქტორთა ჯგუფი დაკომპლექტდა სოფლის მეურნეობის მცოდნე და პარტიული მუშაობით დაინტერესებული ამხანაგებით. რაიკომის მდივნად მტს-ის ზონაში არჩეულ იქნა აგრონომი მ. ბოკერია, რომელსაც რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობის გამოცდილება აქვს.

ინსტრუქტორთა ჯგუფმა სწორად გაიგო თავისი ამოცანა სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საქმეში. პარტიული ჯგუფის მუშაკები თითქმის მთელ სამუშაო დროს კოლმეურნეობებში, საწარმოო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში, უშუალოდ იქ იმყოფებიან, სადაც წყდება სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების აღმავლობის ბედი.

მიუხედავად ამისა, რაიონის კოლმეურნეობათა ცხოვრებაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. გასულ წელს აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურების კვლავ დაბალი მოსავალი მიიღეს. იგი ბევრად არ აღემატებოდა 1953 წლის დონეს. ისევ ჩამორჩებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

რაიკომის მდივნები და სხვა მუშაკები ყოველივე ამას ამჩნევდნენ, მაგრამ ვერ გამონახეს მთავარი, გადამწყვეტი რგოლი, რომლისთვის ხელის ჩავლებით შეიძლებოდა მთელი საქმის გამოსწორება. ბევრი კარგი წამოწყება და ღონისძიება შეუსრულებელი რჩებოდა.

— არა, ამგვარი მუშაობით შორს ვერ წავალთ, — ფიქრობდა რაიკომის პირველი მდივანი ო. კერძაია, — საჭიროა ძირეულად შევცვალოთ ხელმძღვანელობის მეთოდები. უწინარეს ყოვლისა უნდა აღმოვფხვრათ ჩამორჩენის მთავარი მიზეზები. მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენთან კოლმეურნეობის ზოგიერთი თავმჯდომარე ცუდი მეურნე, უდარდელი და საქმის უცოდინარი მუშაკია.

მართლაც, ვინ ხელმძღვანელობდა რაიონის ერთ-ერთ მსხვილ კოლმეურნეობას — სოფელ წყემის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობას? 1950 წლიდან აქ ხუთი თავმჯდომარე შეიცვალა. უკანასკნელად თავმჯდომარედ ა. გიგინეიშვილი იყო. იგი სისტემატურად თვრებოდა, მეტ დროს უსაქმოდ ატარებდა, კოლმეურნეობის საქმეები დიდად არ ედარდებოდა. უხეირო ხელმძღვანელობით კოლმეურნეობაში საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სიმინდის, ჩაის ფოთლის და სხვა კულტურების ძალზე დაბალი მოსავალი მიიღეს, ხოლო საზოგადოებრივი მეცხოველეობა თავმინებებული დარგი აღმოჩნდა.

— ჩვენ განსაკუთრებული პირობები გვაქვს, — გაიძახოდა უქნარა თავმჯდომარე, — ჩვენი მიწები უნაყოფოა, მუშახელი არ გვყოფნის.

რაიკომის მდივანმა ო. კერძაიამ ხშირად იწყო წყემის კოლმეურნეობაში მისვლა. კოლმეურნეებთან საუბარში გამოარკვია, თუ რა იყო კოლმეურნეობის ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი, რატომ „არ იძლეოდა" წყემის მიწა კარგ მოსავალს.

— ჩვენს თავმჯდომარეს კოლმეურნეობა არ უყვარს, — გულისტკივილით აღნიშნავდა კოლმეურნე ქ. ჯალაღანია, — წყემში სიმინდი არ ხარობსო, რომ გაიძახის, ეგ სწორი როდია. შარშან მოწინავე კოლმეურნეებმა კარგი მოსავალი მიიღეს, მაგრამ მათი გამოცდილების გავრცელებისათვის არავინ ფიქრობს.

რაიკომისათვის ცხადი გახდა, რომ ჩამორჩენისაგან თავის დაღწევა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება შეუძლებელი იყო, თუ კოლმეურნეობებს არ განამტკიცებდა ხელმძღვანელი კადრებით. მიუხედავად ამისა, რაიკომი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას მაინც აგვიანებდა, საკითხის გადაწყვეტისათვის თითქოს გამბედაობა არ ჰყოფნიდა, თუმცა მუშაობის ნათელი და სწორი ხაზი მას მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა. და აი გამოქვეყნდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული დადგენილება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ. ამ დადგენილებით პარტიამ სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების — მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდების და მეცხოველეობის განვითარების გრანდიოზული ამოცანები დასახა. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელების ინტერესებმა მთელი სიმწვავით დააყენა კოლმეურნეობის ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების საკითხი. სულ მალე ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ — 1955 წლის თებერვალში გაიმართა რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა კოლმეურნეობებში სამუშაოდ რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გაგზავნის საკითხი.

— კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საქმეში ჩვენ დავაგვიანეთ, — განაცხადა პლენუმზე რაიკომის მდივანმა ო. კერძაიამ, — სოფლის მეურნეობის დარგში კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია კოლმეურნეობათა განმტკიცებაზე გამოცდილი, პატიოსანი და ენერგიული ხელმძღვანელებით, რომლებსაც უნარი შესწევთ კარგად მოაწყონ საქმე, სწორად შეარჩიონ და გაანაწილონ ადამიანები, დარაზმონ ისინი საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

რაიკომის პლენუმმა გადაწყვიტა კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ გაიგზავნოს საქმის მცოდნე და გამოცდილი ორგანიზატორები რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივიდან.

ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში სამუშაოდ წასვლის სურვილი განაცხადეს რაიკომის წევრებმა — რაიკოოპკავშირის თავმჯდომარემ ნ. ოჩიგავამ, რაიაბრეშუმის გამგემ შ. ლოჩოშვილმა და რაიონული საფინანსო განყოფილების გამგემ ე. ძველაიამ. მალე სოფელ ნაესაკოვოს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნ. ოჩიგავა. მსხვილ, მაგრამ ძალზე ჩამორჩენილ სოფელ წყემის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. ძველაია, ხოლო სოფელ სამიქაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ — შ. ლოჩოშვილი.

ყოველთვის ადვილი როდია იმის გარკვევა, თუ რომელი თავმჯდომარეა უვარგისი. ზოგჯერ კოლმეურნეობას სათავეში უდგას ისეთი ადამიანი, რომელიც არც მაგარ სასმელებს სვამს, არც კოლმეურნეობის ქონებას ანიავებს, ეხერხება შექმნას „მჩქეფარე მოღვაწეობის" შთაბეჭდილება, ამასთან „წესრიგში" აქვს ყოველგვარი ცნობები. მაგრამ როცა ასეთი ადამიანის მუშაობას არსებითად შეისწავლი, აღმოჩნდება, რომ იგი არაფერს არ აკეთებს. მაგალითად, სოფელ ზანათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ს. კაჭარავა მაღალფარდოვანი სიტყვების დიდი ოსტატი იყო, რაიონული პარტიული აქტივის კრებებსა და თათბირებზე იგი დაპირებას დაპირებაზე იძლეოდა, თავი მოჰქონდა სოფლის მეურნეობის „ორგანიზატორად", მაგრამ უხეირო მუშაობით კოლმეურნეობა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. ამ კოლმეურნეობის წევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს პარტიის რაიკომის მიერ რეკომენდებული, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დ. ჩოჩია.

კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ წავიდნენ სხვა ხელმძღვანელი ამხანაგებიც: რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე შ. გრიგოლია, პარტიის რაიკომის ყოფილი მდივნები გ. ქოიავა, თ. თელია, მტს-ის აგრონომი ს. რატიანი, პარტიის რაიკომის ზონის ინსტრუქტორები ჟ. ქოიავა და მ. ბარათელი.

რაიკომის მიერ განხორციელებული ღონისძიების შედეგად რაიონის 10 კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე მოვიდნენ ახალი ადამიანები. ისინი სულ რაღაც სამი თვეა, რაც სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეობებს, მაგრამ ამ მცირე დროშიც შესამჩნევია პირველი შედეგები. მაგალითისათვის დავასახელებთ სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. მას შემდეგ, რაც აქ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ქოიავა, შესამჩნევად განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ახლა კოლმეურნეთა დიდი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. ჩქარი ტემპით და უფრო მაღალხარისხოვნად სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. კოლმეურნეები იბრძვიან სიმინდის ორი მოსავლის მიღებისათვის. ამ მიზნით 25 ჰექტარზე პირველ აპრილამდე დათესეს სიმინდი, რომ ივნისის ბოლომდე ტარომ მოასწროს რძისებრცვილისებრი სიმწიფის სტადიაში შესვლა. ივლისის პირველ რიცხვებში იმავე ფართობზე მეორედ დათესავენ სიმინდს, რომ ოქტომბრის ბოლოს მეორე მოსავალი აიღონ რძისებრცვილისებრი სიმწიფის სტადიაში. კოლმეურნეობაში 10 აპრილამდე დაამთავრეს ყველა სახის საგაზაფხულო სამუშაოები, ჩაის პლანტაციებში წესრიგზე მოიყვანეს 26 კილომეტრი სადრენაჟო არხები, დათესეს და დარგეს 7 ჰექტარი ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები, 8 ჰექტარი გერანი, გააშენეს 4 ჰექტარი თუთის ახალი პლანტაცია.

წესრიგი დამყარდა მეცხოველეობის ფერმებში. მეწველი ძროხები ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს, ყოველდღიური კონტროლი დააწესეს მათ მოვლა-შენახვასა და წველაზე. ამის შედეგად ამაღლდა ძროხების წველადობა. მაგალითად, თებერვალში 1.000 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს, ვიდრე იანვარში, ხოლო მარტში 3.858 კილოგრამით მეტი, ვიდრე თებერვალში. უკეთესი მაჩვენებლები აქვთ აპრილსა, მაისსა და ივნისში.

ხელმძღვანელი კადრებით კოლმეურნეობათა განმტკიცების შედეგები მთელ რაიონში იგრძნობა. ამას ნათლად მოწმობს მინდვრის სამუშაოების მიმდინარეობა. დიდი გარდატეხა მოხდა მეცხოველეობის პროდუქტიულობაში.

ხელმძღვანელი კადრებით კოლმეურნეობათა განმტკიცების მიზნით პარტიის აბაშის რაიკომის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია. რაიკომი მოვალეა სისტემატური დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად ახლად არჩეულ ამხანაგებს, ყოველდღიურად ასწავლოს მათ და პრაქტიკულად დაეხმაროს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ვ. კოპალეიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

25 ივნისს სან-ფრანცისკოში ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა ინახულა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი დალესი და შემდეგი განცხადება გაუკეთა:

„კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების ცნობით, ამა წლის 23 ივნისს 00 საათსა და 57 წუთზე მოსკოვის დროით (7 საათსა და 57 წუთზე ხაბაროვსკის დროით) „ნეპტუნის" ტიპის სამხედრო თვითმფრინავმა, რომელსაც ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების გამოსაცნობი ნიშნები, დაარღვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი ბერინგის სრუტის რაიონში, ჩაპლინის კონცხის აღმოსავლეთით (ჩუკოტკა).

საბჭოთა ავიაგამანადგურებლების მიახლოებისას, რომლებიც მისკენ გაემართნენ იმ მიზნით, რომ ეჩვენებინათ, რომ იგი სსრ კავშირის საზღვრების ფარგლებში იმყოფებოდა, და წინადადება მიეცათ მისთვის დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე, ამერიკისა და საბჭოთა თვითმფრინავებმა ერთმანეთს სროლა აუტეხეს.

საბჭოთა მთავრობას უკვე მიუქცევია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება იმისათვის, რომ საჭიროა ამერიკის სამხედრო სარდლობამ მიიღოს ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ არასასურველი ინციდენტების განმეორების შესაძლებლობას, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მხრივ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების არაერთგზის დარღვევასთან დაკავშირებით. ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა სახელმწიფო საზღვრის აღნიშნული ახალი დარღვევა იმას მოწმობს, რომ ამერიკის ხელისუფალთ არ მიუღიათ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ ასეთ არასასურველ ინციდენტებს.

თქვენ, ბ-ნო დალეს, 24 ივნისს ჩემთან საუბარში განაცხადეთ, თითქოს ამერიკის თვითმფრინავს არ დაერღვიოს საბჭოთა ტერიტორიული წყლები, თუმცა კიდევაც აღიარეთ, რომ თვითმფრინავთა თანამედროვე სიჩქარისას შეიძლებოდა მომხდარიყო თვითმფრინავის რაიმე გადახრა. საბჭოთა კომპეტენტური ორგანოები, რომლებმაც ამ ინციდენტის გარემოებანი გამოიკვლიეს, ამტკიცებენ, რომ იგი მოხდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული წყლების რაიონში. საბჭოთა მხარის დასკვნები არ ადასტურებენ განცხადებას, თითქოს ინციდენტი საბჭოთა თვითმფრინავების მოქმედებამ გამოიწვია. ამავე დროს აღნიშნულმა საბჭოთა ორგანოებმა მოგვახსენეს, რომ თვითმფრინავების შეხვედრა მოხდა მთლიან ღრუბლებს ზემოთ ვიზუალური ორიენტირების უქონლობის პირობებში. ასეთ პირობებში არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ინციდენტი წარმოადგენს თვითმფრინავების დაახლოების მომენტში მათი ადგილსამყოფელის არაზუსტი განსაზღვრის შედეგს. გამორიცხული არ არის აგრეთვე, რომ ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის დარღვევა წარმოადგენს ამერიკის სარდლობის ამა თუ იმ წარმომადგენელთა მოქმედების შედეგს, რომლებიც, ალბათ, დაინტერესებული არ არიან ამგვარი ინციდენტების დაუშვებლობით. ამ ორი გარემოებიდან რომელიც უნდა იყოს ინციდენტის მიზეზი, საბჭოთა სარდლობას აქვს მკაცრი მითითებანი, რომ როცა ახორციელებენ საბჭოთა საზღვრის დაცვას, ამავე დროს მოერიდონ რაიმე მოქმედებას საბჭოთა სახელმწიფო საზღვრის ფარგლებს გარეთ. ასეთი მითითებანი მიცემულ იქნა, კერძოდ, ამერიკის თვითმფრინავის ამ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც ამა წლის 23 ივნისს მოხდა. საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ შეერთებული შტატების მთავრობა სასტიკ მითითებებს მისცემს თავის სამხედრო სარდლობას არ დაუშვას ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საბჭოთა სახელმწიფო საზღვრის დარღვევა.

საბჭოთა მთავრობა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ინციდენტის გამო.

ითვალისწინებს რა, რომ ინციდენტი ამერიკის სამხედრო თვითმფრინავთან მოხდა ისეთ პირობებში, რომლებიც არ გამორიცხავენ ამა თუ იმ მხარის შეცდომის შესაძლებლობას, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის აანაზღაუროს იმ ზარალის 50 პროცენტი, რომელიც ამერიკის მხარეს მოუვიდა, მხედველობაში აქვს, რა, რომ ზარალის დანარჩენი 50 პროცენტი მოდის ამერიკის მხარეზე".

# ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲗᲐᲜ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ, 25 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). 25 ივნისს ვ. მ. მოლოტოვმა სან-ფრანცისკოში მყოფი ამერიკელი და უცხოელი კორესპონდენტებისათვის გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც პასუხი გასცა მიცემულ კითხვებზე.

ქვემოთ ქვეყნდება კორესპონდენტთა კითხვები და ვ. მ. მოლოტოვის პასუხი.

**კითხვა** (პოლ რენკინი, რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი): ბატონო მოლოტოვ, განზრახული გაქვთ თუ არა არსებითად განიხილოთ ჟენევის თათბირზე გერმანიის საკითხი და ხომ არ შეგიძლიათ გვაცნობოთ თქვენი თვალსაზრისი ამ ქვეყნის შესაძლო გაერთიანების შესახებ და ყოველი თქვენი შესაძლო წინადადება მისი ნეიტრალიზაციის თაობაზე?

**პასუხი:** თქვენ კარგად იცით, რომ საბჭოთა კავშირი ემხრობა გერმანიის გაერთიანებას. რა თქმა უნდა, გაერთიანებას მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძველზე.

რაც შეეხება ჟენევის თათბირს, ცნობილია, რომ ამ თათბირის დღის წესრიგს განსაზღვრავენ თვით მთავრობათა მეთაურები. ჩვენ ყველანი დიდი ინტერესით ველით, როგორ განიხილავენ ამა თუ იმ საკითხს, და კერძოდ იმ საკითხს, რომელზეც ბ-ნი რენკინი ლაპარაკობდა.

**კითხვა** (უოლტერ კერი, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი): ბატონო მინისტრო, ნათელია თუ არა ოთხივე სახელმწიფოსათვის, რომ ჟენევის თათბირი ერთ კვირაზე მეტს არ გასტანს?

**პასუხი:** ჟენევის თათბირის ხანგრძლივობის საკითხი განხილულ იქნა, და გადაწყდა, რომ თათბირი არ უნდა იქნას წინასწარ ლიმიტირებული რაღაც განსაზღვრული დღეებით. თვითონ თათბირი გვიჩვენებს, რამდენი დღე დასჭირდება ამას.

**კითხვა** (ჯოზეფ ლეში, გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" კორესპონდენტი): ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, თქვენს გამოსვლაში ოთხშაბათს თქვენ განაცხადეთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა რაც შეიძლება მალე გადაჭრას ტაივანის საკითხი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც არ შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახლანდელ პოზიციას, საბჭოთა კავშირი პატივს სცემს ასეთ გადაწყვეტილებას?

**პასუხი:** გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კარგად იცის თავისი ადგილი ისეთ საკითხებში, რომლებსაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. რაც შეეხება კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის სანაპირო კუნძულების საკითხს, მე ვფიქრობ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯოუ ენ-ლაის წინადადებას ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის უშუალო მოლაპარაკების შესახებ. ასეთი მოლაპარაკება სასარგებლო იქნებოდა, და იგი შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. ხოლო ამით დაინტერესებულია ყველა ხალხი.

**კითხვა** (პოლინა ფრედერიკი „ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანიდან"): ბატონო მინისტრო, განხილულ იქნება თუ არა ჟენევის თათბირზე ფორმოზის საკითხი?

**პასუხი:** მე უკვე ვთქვი, რომ თათბირისათვის არ არის დაწესებული რაიმე დღის წესრიგი — ეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა თვით მეთაურების საქმეა.

**კითხვა** (ჰარნეტ ჰორნერი, გაზეთ „ვაშინგტონ ივნინგ სტარის" კორესპონდენტი): შეგიძლიათ თუ არა მოგვცეთ რაიმე ცნობა ამერიკის თვითმფრინავზე თავდასხმის შესახებ, რაზედაც გუშინ ლაპარაკობდა ბ-ნი დალესი?

**პასუხი:** მე გუშინ მაცნობა ეს ინციდენტი ბ-ნმა დალესმა. ჩემთვის ეს იყო ახალი ცნობა, რადგან გუშინ ჯერ კიდევ არ მქონდა ინფორმაცია ამ საკითხზე. როგორც კი მივიღებ შესაფერის ინფორმაციას, დავუკავშირდები ამ საკითხზე ბ-ნ დალესს.

**კითხვა** (ედვარდ პ. მორგანი, „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანი"): ბატონო მინისტრო, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ კვირის განმავლობაში სან-ფრანცისკოში მიღწეულ იქნა რაიმე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უკეთესი ურთიერთგაგების დამყარების მხრივ? თუ მიგაჩნიათ, სახელდობრ რა?

**პასუხი:** მე ვფიქრობ, სან-ფრანცისკოში ჩვენ გვაქვს დადებითი შედეგები იმ შეხვედრებისა და კონტაქტებისაგან, რომლებიც იყო ამ ხნის განმავლობაში. ძნელი იქნებოდა გვეთქვა რაიმე კონკრეტულ საკითხზე ამასთან დაკავშირებით, რადგან შეხვედრები და კონტაქტები ძალიან ბევრ საკითხს შეეხებოდა.

**კითხვა** (ჩოლმერს რობერტსი, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის" კორესპონდენტი): დასავლეთის მინისტრებს, როგორც ჩანს, უკავიათ ისეთი პოზიცია, რომ ჟენევაში კი არ უნდა მიიღონ ღონისძიებანი საკითხების არსებითად მოწესრიგებისათვის, არამედ მხოლოდ უნდა განიხილონ მომავალი მოლაპარაკების პროცედურის საკითხი. მისაღებია თუ არა ეს პოზიცია საბჭოთა კავშირისათვის?

**პასუხი:** მე შემიძლია ვთქვა, რომ ჟენევის თათბირის შესახებ გამოთქვამენ სხვადასხვა აზრსა და სხვადასხვა სურვილს. ეს მაინც ისეთი საქმეა, რომელიც შეეხება მთავრობათა მეთაურებს, და მათ თვითონ უნდა განიხილონ და გადაჭრან ეს საკითხები.

**კითხვა** (ფრენკ კარპენტერი ასოშიეიტედ პრესის სააგენტოდან): როგორია თქვენი რეაგირება, ბატონო მოლოტოვ, ბ-ნ დალესის გუშინდელ გამოსვლაზე?

**პასუხი:** ბ-ნმა დალესმა ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. ორი დღით ადრე მე ჩამოვაყალიბე საბჭოთა კავშირის პოზიცია. აი რა შემიძლია ვთქვა ამჟამად.

**კითხვა** (ა. მეზერიკი, ლონდონის გაზეთ „დეილი მირორის" კორესპონდენტი): ბატონო მინისტრო, მხედველობაში აქვს თუ არა საბჭოთა კავშირს ოფიციალურად დასვას ტაივანის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში?

**პასუხი:** ამ საკითხის განხილვა ახლა არ მიმდინარეობს.

**კითხვა** (კრიშნა ბალარამანი, ინდოელი კორესპონდენტი მადრასიდან): ხომ არ შეაფასებთ სამხედრო მდგომარეობას ფორმოზის რაიონში და როგორ მიგაჩნიათ, ეს მდგომარეობა უარესდება თუ არა?

**პასუხი:** მდგომარეობა ტაივანის რაიონში, რომელსაც თქვენ ფორმოზას უწოდებთ, მე არა მგონია ისეთი იყოს, რომ წარმოადგენდეს სამხედრო ხასიათის საფრთხეს, მშვიდობის დარღვევის საფრთხეს. ახლა, მე მგონია, ვითარება არ გაუარესებულა, მაგრამ საფრთხე არ გამქრალა.

**კითხვა** (ქ-ნი ვერა დინი „საგარეო პოლიტიკის ასოციაციიდან"): ბატონო მოლოტოვ, ხომ არ შეგიძლიათ გაგვაცნოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი სისტემის — ევროპის უშიშროების სისტემის დეტალები და აგრეთვე გვაცნობოთ, რამდენად ჰგავს ეს სისტემა ბ-ნ პინეს წინადადებას სარეგიონთაშორისო შეთანხმებათა შესახებ უშიშროების რეგიონალურ სისტემათა შორის?

**პასუხი:** ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ გასული წლის დამდეგს წამოაყენა. ამ სისტემის არსი ის არის, რომ მან უნდა უზრუნველყოს უშიშროება ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის, მიუხედავად მათი სოციალური სისტემების განსხვავებისა. ამასთან გათვალისწინებულია, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების ასეთ სისტემაში მონაწილეობის მიღება ახლა შეუძლია გერმანიის ორივე ნაწილს, როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ისე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ამ სისტემაში მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული გერმანია. თუ რამდენად იქნება განსხვავებული ასეთი სისტემა იმისაგან, რაც ბ-ნმა პინემ წამოაყენა, ეს შესწავლას მოითხოვს. ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის საბჭოთა პროექტში მთავარი ის არის, რომ გადაიჭრას ევროპაში სამხედრო ბლოკების, ზოგი სახელმწიფოების სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ სამხედრო ბლოკების პრობლემა. ამ პროექტის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა და უშიშროება ევროპის ყველა ქვეყნისათვის.

**კითხვა** (ლარი ლესური, რადიოტელევიზიის კომპანიის „კოლუმბია ბროდკასტინგ სისტემის" კორესპონდენტი): ბატონო მინისტრო, იქნება თუ არა პრემიერი ბულგანინი ჟენევაში საბჭოთა დელეგაციის მეთაური?

**პასუხი:** დიახ, რა თქმა უნდა.

**კითხვა** (ჯეიმს რესტონი, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი): სერ, ნება მიბოძეთ ორი კითხვით მოგმართოთ. პირველი: ახლა ჩვენში დიდ ინტერესს იწვევს ის, რაც, ჩვენი აზრით, დიდი ცვლილებაა საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ, იუგოსლავიის, ავსტრიისა და გერმანიის მიმართ. რით შეიძლება აიხსნას ეს? და მეორე კითხვა: როცა თქვენ ამბობთ, რომ ემხრობით გერმანიის გაერთიანებას მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძვლებზე, ნიშნავს თუ არა ეს, რომ მთელ გერმანიაზე გავრცელდეს ის სისტემა, რომელიც ახლა აღმოსავლეთ გერმანიაშია გაბატონებული?

**პასუხი:** რაც შეეხება პირველ კითხვას, მოკლედ გიპასუხებთ. თუ ბ-ნი რესტონი დაწვრილებით გაეცნობა მოვლენათა მსვლელობას, იგი დაინახავს, რომ ის ღონისძიებანი საგარეოპოლიტიკურ დარგში, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახლა ახორციელებს, თანმიმდევრული განვითარებაა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისა, მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მუდამ ახორციელებს.

მეორე საკითხი. რაც შეეხება ჩვენს წინადადებებს, საბჭოთა კავშირის წინადადებებს გერმანიის გაერთიანების შესახებ, ჩვენ ასეთ თვალსაზრისს ვადგავართ. გაერთიანებულ გერმანიაზე, რასაკვირველია, არ უნდა გავრცელდეს რეჟიმი, რომელიც ახლა აღმოსავლეთ გერმანიაშია, ისევე როგორც არ უნდა გავრცელდეს რეჟიმი, რომელიც დასავლეთ გერმანიაშია. სახელდობრ რა რეჟიმი უნდა იყოს და იქნება გაერთიანებულ გერმანიაში, ეს ისეთი საქმეა, რომელიც თვითონ გერმანელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნებით.

ჩვენს განკარგულებაში ნახევარი საათი იყო. ჩვენ ეს დრო გამოვიყენეთ. ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისათვის.

**კითხვა** (პოლ რენკინი, რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი): თქვენ ილაპარაკეთ ევროპის უშიშროების სისტემაზე, რომელმაც უნდა მოიცვას ევროპის ყველა სახელმწიფო. ხართ თუ არა თქვენ მომხრე დოქტორ ადენაუერის წინადადებისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ასეთი სისტემის სრულუფლებიანი წევრები უნდა იყვნენ?

**პასუხი:** როგორც ჩვენ წინათაც გვითქვამს, ჩვენ სრულიად უეჭველად მიგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემაში, თუ ისინი ამას მოისურვებენ.

დასასრულ კორესპონდენტებმა მადლობა გადაიხადეს პრეს-კონფერენციისათვის.

# ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Ი. ᲪᲘᲠᲐᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Ჯ. ᲜᲔᲠᲣᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 26 ივნისი. (საქდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ 25 ივნისს ვარშავაში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას. განცხადებაში ნათქვამია:

პოლონეთის მთავრობის მოწვევით პოლონეთში იმყოფებოდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ. ვარშავაში ყოფნის დროს პრემიერ-მინისტრ ნერუს საუბრები ჰქონდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან და პოლონეთის მთავრობის სხვა წევრებთან. ამ საუბრებმა ცხადყო, რომ ორივე მთავრობა ესწრაფვის მშვიდობას და სურს შეინარჩუნოს იგი. ეს საუბრები მოიცავდა ბევრ საკითხს, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის საინტერესოა, აგრეთვე საერთაშორისო მნიშვნელობის ფართო პრობლემებს, რომლებიც ორივე სახელმწიფოს შეეხება. განხილულ პრობლემათა შორის იყო აგრეთვე ინდოჩინეთის პრობლემები, სადაც როგორც პოლონეთი, ისე ინდოეთი თანამშრომლობენ საერთაშორისო კომისიებში, ისევე როგორც წინათ თანამშრომლობდნენ საერთაშორისო კომისიაში კორეაში. პრემიერ-მინისტრები მიესალმებიან თავიანთი ორი ქვეყნის ამ თანამშრომლობას მშვიდობის საქმისათვის და ძნელი საკითხების მოლაპარაკების გზით მოწესრიგების საქმისათვის.

პოლონეთისა და ინდოეთის ურთიერთობა მეგობრული იყო და არის და მათ შორის არ არსებობს სადავო პრობლემები ან საკითხები. ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყნებს შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ორივე პრემიერ-მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ურთიერთობა მომავალშიც განვითარდება ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის და რომ შემდგომი კონტაქტი და თანამშრომლობა იქნება ეკონომიურ და კულტურულ დარგებში.

ორივე პრემიერ-მინისტრი სავსებით ადასტურებს, იღებს და თავიანთ ურთიერთობაში იხელმძღვანელებს ხუთი პრინციპით, რომლებიც უკვე მიღებული აქვთ მთელ რიგ ქვეყნებს. ეს ხუთი პრინციპია:

1) ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა;

2) თავდაუსხმელობა;

3) ეკონომიური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის რაიმე მოტივებით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;

4) თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა და

5) მშვიდობიანი თანაარსებობა.

პრემიერ-მინისტრებს განსაკუთრებით აფიქრებთ ინდოჩინეთში არსებული მდგომარეობა და ახალი სიძნელეები, რომლებიც წამოიჭრა ინდოჩინეთის სახელმწიფოებში ჟენევის შეთანხმებათა შესრულების დროს. ისინი გამოთქვამენ აზრს, რომ არა მარტო ინდოჩინეთში, არამედ აგრეთვე საერთოდ შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის არსებითია ის, რომ ჟენევის შეთანხმებებს სავსებით ასრულებდნენ დაინტერესებული ქვეყნები და რომ არჩევნები ხდებოდეს შეთანხმებათა დადგენილებების შესაბამისად. ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება და მათი ურთიერთობა დაემყარება ჯანსაღ საფუძვლებს.

ორივე პრემიერ-მინისტრი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შეძლეს მოეწყოთ პირადი საუბარი და გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის შეხედულებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა მათთვის. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მოლაპარაკების შედეგები ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას და ამრიგად ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

## ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ჯ. ᲜᲔᲠᲣ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 26 ივნისი. (საქდესი). დღეს ვარშავიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც პოლონეთში სტუმრად იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით.

პრემიერ-მინისტრს თან ახლავან მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში კ. პ. შ. მენონი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი.

ვარშავის ცენტრალურ აეროდრომ „ოკენჩეზე", რომელიც მორთული იყო ინდოეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ჯავაჰარლალ ნერუ გააცილეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პირველმა მდივანმა ბ. ბერუტმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ, პოლონეთის მარშალმა კ. როკოსოვსკიმ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ხ. მინცმა, ზ. ნოვაკმა, ე. ოხაბმა, ფ. იოუქვიაკმა, ფ. მაზურმა, რ. ზამბროვსკიმ, ს. რადკევიჩმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მატვინმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ტ. გედემ და ს. ლაპოტმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მ. ნაშკოვსკიმ, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, პოლონეთის ჯარის გენერლებმა, მშრომელთა მრავალმა დელეგაციამ, პოლონეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებმა.

ჯავაჰარლალ ნერუ გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა პოლონეთში პ. კ. პონომარენკომ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში აკრედიტებულმა საელჩოთა და მისიათა მეთაურებმა.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შეასრულეს ინდოეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომზე ი. ცირანკევიჩმა და ჯ. ნერუმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

# ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 25 ივნისი. (საქდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ პეკინის აეროდრომზე დელეგაციის შესახვედრად მოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და სხვები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას, რომელსაც პრეზიდენტი ხო ში მინი მეთაურობს, შეხვდნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ი. მ. ლომაკინი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დილის 10 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი დაეშვა აეროდრომზე. თვითმფრინავიდან გამოდიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სხვა წევრები, რომლებმაც მხურვალედ, ძმურად გადაკოცნეს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი და მთავრობისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელები. ზეიმურად ჟღერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებმა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა პინ დე-ხუაიმ ჩამოუარეს საპატიო ყარაულს.

პეკინის პიონერებმა ხო ში მინსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები. ხო ში მინი მხურვალედ მიესალმა აეროდრომზე შეკრებილ დედაქალაქის მცხოვრებლებს. სულ აეროდრომზე შეიკრიბა 10 ათასზე მეტი კაცი. ხო ში მინისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრთა პატივსაცემად გაისმის მისალმებანი: „გაუმარჯოს პრეზიდენტ ხო ში მინს!", „გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას!", „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!".

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა აეროდრომზე წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ხო ში მინმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აეროდრომზე მადლობა გადაუხადა ჩინეთის მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიწვევისათვის.

აღნიშნა რა, რომ ძლიერდება კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხო ში მინმა თქვა: „ვიეტნამელი ხალხი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იტანჯებოდა კოლონიზატორთა უღლისაგან, ურყევი ნებითა და სულ უფრო მზარდი ძალით ეწეოდა გმირულ ბრძოლას მშვიდობისათვის, ერთიანობისათვის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის. ვიეტნამელი ხალხი არასოდეს არ მოითმენს აგრესიას და ამავე დროს არ ჩაიდენს აგრესიულ მოქმედებას. იგი მუდამ უჭერდა მხარს ბრძოლას აგრესიის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის და მას მტკიცედ სწამს, რომ მშვიდობიანი გზით საერთაშორისო დავის გადაჭრა და სხვადასხვა სოციალური სისტემებისა და სხვადასხვა შეხედულებათა მქონე სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა არა მარტო საჭიროა, არამედ შესაძლებელიც არის".

ხო ში მინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა მზად არის დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ პატივისცემის, ურთიერთ თავდაუსხმელობის, ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპებზე.

# ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 25 ივნისი. (საქდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩინეთში ჩამოვიდა ჩინეთის მთავრობის მოწვევით.

მიღებაზე იყვნენ: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური პრეზიდენტი ხო ში მინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი ტრუონგ შინი, ფინანსთა მინისტრი ლე ვან ხიენი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ფან ანი, განათლების მინისტრი ნგუენ ვან ქსიუენი, სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მინისტრი ნგუენ ქსიუან იემი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნგ ვან ქსემი, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი მინისტრის მოადგილის რანგით ნგუენ დუი ტრინი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ფამ ნგოკ თხანკი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ხოანგ ვან ხოანი.

ჩინეთის მხრივ მიღებაზე იყვნენ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ლინ ბო-ციუ, ლი ძიშენი, შენ ძიუნ-ჟუ, ხუან იან-პეი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ქალაქ პეკინის მერი პინ ჟენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები ჩენ იუნი, პინ დე-ხუაი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დენ სიაო-პინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები ხე ლუნი, ჩენ ი, ლი ფუ-ჩუნი, ლი სიან-ნიანი, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დუნ ბი-უ, სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ბო ი-ბო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ე ძი-ჯუანი, რკინიგზების მინისტრი ტენ დაი-იუანი, უმაღლესი განათლების მინისტრი იან სიუ-ფინი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ჯან ვენ-ტიანი, ვან ძია-სიანი, ძი პინ-ფეი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლო გუი-ბო.

საუბარი 50 წუთს გაგრძელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სან-ფრანცისკოს საიუბილეო სესიაზე

სან-ფრანცისკო, 25 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის 24 ივნისის დილის სხდომაზე პირველმა ილაპარაკა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირსონმა. პირსონმა განაცხადა, რომ ახლანდელი შიშისა და უნდობლობის აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ „აქტიური და მეგობრული თანამშრომლობით... სწორედ ამისთვის არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“.

დილის სხდომაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა იმ პოლიტიკის ქება-დიდებას, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ ამ უკანასკნელ წლებში, ამასთან მას ახალი არაფერი უთქვამს ისეთი, რაც დღემდე არ იყოს ცნობილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ამერიკის დელეგაციის მეთაურს პასუხი არ გაუცია საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებებზე შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრის შესახებ. აქ აგრეთვე აღნიშნავენ, რომ დალესის სიტყვაში არ ყოფილა პასუხი იმ საკითხებზე, რომლებიც აღძრული იყო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის 22 ივნისის გამოსვლაში.

სიტყვა ეძლევა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურს საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. დავიდს. დავიდი აღნიშნავს განვლილი ათი წლის მანძილზე მომხდარ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცვლილებებს, განსაკუთრებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების შედეგად ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ ისტორიაში პირველად დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი ბედ-იღბალი და დაადგნენ სახალხო დემოკრატიის გზას.

სახალხო დემოკრატიის ამ ქვეყნებმა და საბჭოთა კავშირმა, თქვა ვ. დავიდმა, დაამყარეს ფართო თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ურღვევი მეგობრობა და უანგარო ძმური დახმარება, რაც მშვიდობის შენარჩუნების საქმეში ძვირფასი წვლილი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების პრაქტიკული განხორციელებაა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, თქვა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა, საჭიროდ მიიჩნია თავის გამოსვლაში გაემეორებინა შეუწყნარებელი მტკიცებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შესახებ. სამწუხაროა, რომ ჩვენს საიუბილეო სესიაზე მოხდა ისეთი თავდასხმები, რომლებიც მხოლოდ ხელს უწყობენ ცივი ომის მიზნებს, იმ მიზნებს, რომლებიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებსა და მიზნებს. ჩეხოსლოვაკიის ხალხები, რომელთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ახლანდელისავით სრული, არ დაუშვებენ, რომ ვინმე ჩაერიოს მათს საშინაო საქმეებში.

მთელი მსოფლიოს ხალხებს სწყურიათ მშვიდობა, განაგრძო ვ. დავიდმა. ამავე დროს ჩვენ იმის მოწმენი ვართ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს მმართველი წრეები ქმნიან აგრესიულ ბლოკებს, აჩაღებენ გამალებულ შეიარაღებას, აშენებენ სამხედრო ბაზებს სხვის ტერიტორიებზე, აღვივებენ ომის პროპაგანდას, მოუწოდებენ ატომური და წყალბადის ბომბის გამოყენებისაკენ, არღვევენ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს და ერევიან მათს საშინაო საქმეებში. ასეთი პოლიტიკა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

სავსებით ბუნებრივია, განაგრძო ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხებს, მათ შორის ჩეხოსლოვაკიის ხალხსაც, მეტად საჭიროდ მიაჩნიათ განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი თავიანთი უშიშროებისა და მშვიდობიანი მშენებლობის უზრუნველსაყოფად. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო ის, რომ ვარშავაში დაიდო ევროპის რვა ქვეყანას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი, რომელიც გერმანიის მეზობლად ცხოვრობს, განაგრძო ვ. დავიდმა, სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული გერმანიის საკითხის მოწესრიგებით. ჩეხოსლოვაკიას მეგობრული ურთიერთობა აქვს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და მზად არის მოახდინოს ნორმალიზაცია თავისი ურთიერთობისა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან.

ჩეხოსლოვაკია ყოველთვის ხმარობდა ღონისძიებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსამტკიცებლად, თქვა ვ. დავიდმა, ამიტომ ჩვენ ვერ შევურიგდებით იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და განსაკუთრებით უშიშროების საბჭოში, არ არის ხუთი დიდი სახელმწიფოსაგან ერთი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის წარმომადგენელია.

გადაუდებელი ამოცანების გადასაჭრელად, ხაზგასმით აღნიშნა ვ. დავიდმა, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს და უწინარეს ყოვლისა უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა მჭიდრო თანამშრომლობა და სრული ნდობა. საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებანი შეიცავენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც სპობენ უნდობლობას სახელმწიფოთა შორის და იძლევიან იმის ფართო შესაძლებლობას, რომ შეთანხმებას მივაღწიოთ დიდმნიშვნელოვან საკითხში — შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების, ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის და ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხში.

ინდონეზიის დელეგატმა ჩონდრონეგორო სუჯარვომ თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს და მოუწოდა დელეგატებს ანგარიში გაუწიონ აზიისა და აფრიკის ხალხების ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას. მან მოუწოდა დელეგატებს რეალისტურად შეაფასონ ახალი აზია. ახალი შეფასების პირველი შედეგი, აღნიშნა ინდონეზიის დელეგატმა, ის უნდა იყოს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დაუშვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

„ჩვენ, — განაცხადა დასასრულ ინდონეზიის დელეგატმა, — უნდა ვშრომობდეთ მშვიდობისათვის და არა ომისათვის. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციას, რომელმაც გამოაცხადა 10 პუნქტისაგან შემდგარი დეკლარაცია და მოუწოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თანამშრომლობისაკენ, მხარი დაუჭირა დედამიწის ნახევარზე მეტმა მოსახლეობამ. ამ კონფერენციამ ძვირფასი წვლილი შეიტანა მშვიდობის საქმეში. ინდონეზიას მტკიცედ სწამს, რომ არსებული საერთაშორისო დაძაბულობა შეიძლება აღმოიფხვრას ჩვენი საერთო ღონისძიებებით“.

სესიის დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე პერუს, ეთიოპიის, ეკვადორის დელეგაციათა მეთაურები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის დღის სხდომაზე გამოვიდნენ ურუგვაის, ეგვიპტის, ავღანეთის, ბოლივიის, უკრაინის სსრ, საუდის არაბეთის, სალვადორისა და ინდოეთის წარმომადგენლები.

## ვ. მ. მოლოტოვი სან-ფრანცისკოდან გამოემგზავრა

სან-ფრანცისკო, 25 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). დღეს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი სან-ფრანცისკოდან გაემგზავრა ნიუ-იორკს, საიდანაც წავა საბჭოთა კავშირში. მასთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი.

## მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე

# მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

ჰელსინკი, 25 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). 24 ივნისის პლენარულ სხდომაზე მშვიდობის მსოფლიო ასამბლეამ მიიღო შემდეგი წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მისი შექმნის ათი წლისთავის გამო:

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო ასამბლეა მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მისი შექმნის მეათე წლისთავის გამო.

ხალხებს კარგად ახსოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა, როგორც კი დამთავრდა ომი, რომელმაც ამ ერებს ძლიერი მწუხარება, ნგრევა, უბედურება მოუტანა. მათ კარგად ახსოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა იყო იმ სახელმწიფოთა ერთსულოვანი გადაწყვეტილების შედეგი, რომლებიც ერთად იბრძოდნენ ფაშიზმზე საერთო გამარჯვებისათვის.

ამან ხალხებს დიდი იმედები შეუქმნა.

მაშასადამე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა შეინარჩუნოს ერთგულება თავისი წესდებისა და დიდ სახელმწიფოთა შორის ერთხმივობის პრინციპისადმი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ქმედითობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა იყოს ნამდვილად ყოვლისმომცველი ორგანიზაცია. ამიტომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უნდა დაიკავოს ის ადგილი, რომელიც მას უფლებით ეკუთვნის; საჭიროა დაკმაყოფილდეს იმ სახელმწიფოთა თხოვნა, რომლებმაც შეიტანეს განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაადგება ამ გზას, იგი შეძლებს გაამართლოს იმედი, რომელსაც ხალხები მასზე ამყარებენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის მეათე წლისთავზე ასეთია სურვილი მშვიდობის მსოფლიო ასამბლეისა, რომელიც გამოხატავს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ასეულ მილიონობით ადამიანთა გრძნობებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შეთანხმების მიღწევა განიარაღების საკითხზე და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე, მან უნდა დაამყაროს ნაყოფიერი თანამშრომლობა ყველა ხალხს შორის.

• • •

დღეს მთელი დღის განმავლობაში მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა განაგრძობდა მუშაობას კომისიებში.

ხვალ გაიმართება პლენარული სხდომა.

• • •

ჰელსინკი, 24 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). დღეს დილიდან მუშაობენ სხვადასხვა კომისიები, რომლებიც მშვიდობის მსოფლიო ასამბლეამ შექმნა: განიარაღებისა და ატომური იარაღის კომისია, სამხედრო ბლოკებისა და უშიშროების საკითხის კომისია, ეროვნული სუვერენიტეტისა და მშვიდობის საკითხის კომისია და სხვები.

ჰელსინკი, 24 ივნისი. (საკდეს). დღეს 15 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით დაიწყო მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მორიგი პლენარული სხდომა. თავმჯდომარეობს აბდულა დიალო (სუდანი).

პირველი გამოვიდა ფინეთის წარმომადგენელი ფონ ბუნსდორფი, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხს. შემდეგ სიტყვა მიეცა ინგლისის საზოგადო მოღვაწეს ქ-ნ კასდენს, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ეს ასამბლეა შესაძლებლობას მისცემს ყველა წრისა და ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს გამოთქვან თავიანთი თვალსაზრისი ურთიერთგაგების მიღწევის მიზნით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლე დინ ტამმა ილაპარაკა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლაზე მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

სირიის პარლამენტის დეპუტატმა სალეჰ აქილმა თავისი სიტყვა მიუძღვნა სირიელი ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ ეჟენი კოტონმა ილაპარაკა დედების მომავალი მსოფლიო კონგრესისათვის მზადებაზე; კონგრესი ლოზანაში (შვეიცარია) უნდა გაიმართოს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ნესტეროვმა თავის სიტყვაში მოუწოდა განავითარონ საერთაშორისო ვაჭრობა როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საფუძველი.

ჰელსინკი, 25 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). გუშინდელი დღის სხდომის ბოლოს სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა გაბრიელ დ'არბუსიემ (საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა), რომელიც შეეხო შავი აფრიკის ხალხთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებს, აფრიკის ხალხთა მოძრაობას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მან განაცხადა, რომ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას, განიარაღებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აფრიკის ქვეყნებისათვის.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შავ აფრიკას არა სურს სათამაშო იყოს კოლონიურ სახელმწიფოთა ხელში, მას სურს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ოსტაპ დლუსკიმ განაცხადა, რომ მთელი მსოფლიოს ადამიანებს აერთიანებს მისწრაფება იმისადმი, რომ აიკრძალოს ატომური იარაღი და თავიდან აცილებულ იქნას ახალი ომი. კაცობრიობას სწყურია, რომ ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანად გადაიჭრას ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვით და მათს საშინაო საქმეებში ჩაურევლად.

საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი დ'ასტიე დე ლა ვიჟერი შეეხო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმატებებს და პასუხი გასცა კრიტიკულ შენიშვნებზე, რომლებიც სხვადასხვა მოღვაწემ და ორგანიზაციამ გამოთქვა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მიმართ.

სხდომის უკანასკნელმა ორატორმა — ყოფილმა მინისტრმა ერიბერტო ხარამ (მექსიკა) აღნიშნა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ეგრეთწოდებული ეკონომიური და სხვა „დახმარების“ საბაბით იტაცებენ ლათინური ამერიკის სიმდიდრეს. მაგრამ ჩვენს ქვეყნებში, განაცხადა მან, იზრდება მშვიდობის ძალები და ჩვენ არავის დავანებებთ, რომ გადაგვაქციოს ახალი მსოფლიო ომის მომზადების ამერიკულ არსენალად.

სესიის დელეგატებმა მოიწონეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის წერილის ტექსტი.

ამით დამთავრდა დღის სხდომა.

დღეს, 25 ივნისს, გაიმართება ასამბლეის კომისიების სხდომები.



ჰელსინკი. 22 ივნისი. მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის გახსნა. სხდომათა დარბაზში.
ფოტო ვ. ეგოროვისა. (საკდეს ფოტოქრონიკა).

## დარბაზობანი ვ. მ. მოლოტოვთან სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 25 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა 24 ივნისს საუზმე გაუმართა ბელგიის, ტაილანდის, ლიბანისა და ნორვეგიის დელეგაციებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაში მონაწილეობენ. საუზმეზე იყვნენ ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი სპააკი, ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ვაითხაიაკონი, ლიბანის დელეგაციის მეთაური მალიქი, ნორვეგიის დელეგაციის მეთაური ვაჭრობის მინისტრი სკაუგი და აღნიშნული ქვეყნების დელეგაციათა წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წევრები.

საუზმემ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სან-ფრანცისკო, 25 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). 24 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა სადილი გაუმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, ახალი ზელანდიისა და ისრაელის დელეგაციებს.

სადილზე იყვნენ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკშეშევსკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დავიდი, ახალი ზელანდიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუნრო, ისრაელის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ებანი და აღნიშნული ქვეყნების დელეგაციათა წევრები.

სადილზე იყვნენ უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ლ. ფ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ვ. კისელიოვი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის წევრები. სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სან-ფრანცისკო, 25 ივნისი. (საკდეს სპეც. კორ.). 24 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ქალაქ სან-ფრანცისკოს მერი რობინსონი და ქალაქ სან-ფრანცისკოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის მომწყობი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე რობერტ გროსი. დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე ქალაქ სან-ფრანცისკოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

დარბაზობამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის პროტესტი

ბერლინი, 25 ივნისი. (საკდეს). სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა გერმანიაში ელჩმა გ. მ. პუშკინმა დღეს ინგლისის ელჩს ჰოიერმილარს გაუგზავნა საპროტესტო წერილი, რომელშიც ნათქვამია:

18 ივნისს 14 საათსა და 30 წუთზე გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის აპარატის თანამშრომლებს ი. კ. ლენსკის, ბ. ი. პეტუხოვს, ა. ნ. პლატონენკოს, ო. ვ. ჩისტიაკოვს და პ. ი. ტერენტიევს ზოოლოგიური პარკის შესასვლელთან თავს დაესხა რევოლვერებით შეიარაღებული, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი 14 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. როგორც აღმოჩნდა, ესენი იყვნენ დასავლეთ ბერლინის პოლიციელები, რომლებმაც გაჩხრიკეს საბჭოთა მოქალაქეები და წაიყვანეს ისინი პოლიციის უბანში.

გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის აპარატის საკონსულო განყოფილების უფროსმა გ. მ. აკოფოვმა ჩემი დავალებით პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ ბერლინის პოლიციელებმა და ინგლისის ადმინისტრაციამ დასავლეთ ბერლინში უკანონოდ დააკავეს აღნიშნული საბჭოთა თანამშრომლები, და მოითხოვა მათი დაუყოვნებლივ განთავისუფლება. მაგრამ ინგლისის ოფიციალურმა პირებმა, იცოდნენ რა, რომ მათ საქმე ჰქონდათ გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის აპარატის თანამშრომლებთან, 18 ივნისს მთელ ღამეს დააკავეს ისინი სრულიად უსაფუძვლოდ. ამასთან მათ დაჰკითხეს საბჭოთა თანამშრომლები, მოექცნენ მათ ისე, როგორც პატიმრებს. საბჭოთა თანამშრომლები მხოლოდ 19 ივნისს 12 საათზე გაათავისუფლეს. ამასთან ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ საბჭოთა თანამშრომლებს ხელი მოეწერათ წინასწარ მომზადებულ დოკუმენტზე იმის შესახებ, რომ მათ არა აქვთ პრეტენზიები ინგლისელ ხელისუფალთადმი.

ვაკისრებ რა პასუხისმგებლობას მომხდარი ამბისათვის ინგლისელ ხელისუფლებს დასავლეთ ბერლინში, ვაცხადებ პროტესტს და მტკიცედ მოვითხოვ, რომ პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი თვითნებობის ამ აქტის ორგანიზატორები და მონაწილენი და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა მომავალში აღარ გამეორდეს ასეთი შემთხვევები.

# სპორტის ამბები

## მოტოშეჯიბრება



კვირას თბილისის იპოდრომზე დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. აქ შედგა ზონალური მოტოშეჯიბრება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საკავშირო საზოგადოების თასის მოსაპოვებლად. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და დაღისტნის მოტომრბოლთა ნაკრები კოლექტივები.

ასპარეზობა აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებით, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს. 125 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით გაიმარჯვა ვ. გრიგორიანმა, რომელმაც იპოდრომის 6 წრე გაიარა 4 წუთსა და 36,1 წამში. 350 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ასპარეზობაში გაიმარჯვა თ. ჩხაიძემ (დრო — 4 წუთი და 13,8 წამი), 750 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით შეჯიბრებაში — გ. შარაფიანმა (4 წუთი და 09,3 წამი).

საქართველოს მოტომრბოლთა გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, მონაწილეობას მიიღებს ფინალურ შეხვედრებში მოსკოვში.

**სურათებზე:** ქვევით — შეჯიბრების მონაწილეთა პარადი; ზევით (მარცხნიდან) ასპარეზობაში გამარჯვებულები — ვ. გრიგორიანი, თ. ჩხაიძე, გ. შარაფიანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ევროპის პირველობა ფრენბურთში

ევროპის მეოთხე ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრები ფრენბურთში მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა. 25 ივნისს გაიმართა მორიგი შეჯიბრება. ჩეხოსლოვაკიის ვაჟთა გუნდმა მოუგო იუგოსლავიის ფრენბურთელებს 3:1, ბულგარეთის გუნდმა — სსრ კავშირის ფრენბურთელთა კოლექტივს 3:2.

26 ივნისს თამაშობდნენ ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ქალთა გუნდები. ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელებმა ეს მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:0 და ევროპის ჩემპიონები გახდნენ. მეორე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის გუნდი, მესამეზე — პოლონეთის სპორტსმენთა კოლექტივი.

ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელმა ვაჟებმა გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს ბულგარეთის გუნდს 3:0 და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა რუმინეთის გუნდი, მესამეზე — ბულგარეთის გუნდი, მეოთხეზე — სსრ კავშირის გუნდი.

## საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

სტოკჰოლმი. 26 ივნისი. „როსუნდას“ სტადიონზე სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული ესწრებოდა საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას ფეხბურთში სსრ კავშირისა და შვეციის პირველ ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ზედიზედ მიჰქონდათ იერიში მოწინააღმდეგის კარზე. შეჯიბრება დამთავრდა სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 6:0.

* * *

მოსკოვი. 26 ივნისი. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და შვეციის ფეხბურთელთა მეორე ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 6:1. 6 ბურთიდან 3 ლოლობერიძემ გაიტანა.

## მეორე წრის მატჩები

პირველი ივლისიდან დაიწყება სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე წრის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. თბილისის დინამოელები პირველ ივლისს თავიანთ მოედანზე შეხვდებიან ლენინგრადის „ზენიტს“, რის შემდეგ მოსკოვში გაემგზავრებიან დედაქალაქის „ლოკომოტივთან“ მატჩის ჩასატარებლად. ეს შეჯიბრება გაიმართება 6 ივლისს. მორიგ ასპარეზობას თბილისის „დინამო“ ჩაატარებს თავის მოედანზე 10 ივლისს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“.

19 ივლისს თბილისში შედგება მატჩი სსრ კავშირის თასზე კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ბ“ კლასი

გრძელდება „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა სსრ კავშირის პირველობაზე. 26 ივნისს გაიმართა მორიგი შეხვედრები. თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი ალმა-ატაში თამაშობდა ადგილობრივი „უროჟაის“ წინააღმდეგ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2. ამრიგად, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომელსაც 20 ქულა აქვს, კვლავ მეორე ზონის ლიდერია.

## თასი ქუთაისის დინამოელებმა მოიპოვეს

დამთავრდა საქართველოს 1955 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ფეხბურთელთა კოლექტივებმა. ფინალში გავიდნენ ქუთაისის „დინამოსა“ და მახარაძის „კოლმეურნის“ გუნდები. ამ გუნდების დასკვნითი ასპარეზობა შედგა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 26 ივნისს. მატჩი მოიგო ქუთაისის „დინამომ“ ანგარიშით 3:2. დინამოელებს საზეიმოდ გადაეცათ გარდმავალი ჯილდო — თასი.

## სასამართლოს დარბაზიდან

# კაცისმკვლელს — დახვრეტა

მამუდ იუსუფის-ძე კონცელიძე ხულიგნობისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მან არ ისურვა მონაწილეობა მიეღო სოციალისტური საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში და კვლავ დაადგა ბოროტმოქმედებათა გზას.

მთვრალმა მ. კონცელიძემ ჩაქვში გაიტაცა სამგზავრო ავტომანქანა, დააჯახა იგი სხვა მანქანას და იქვე მიატოვა, შემდეგ შევიდა ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „აჭარის“ კანტორაში, სადაც მიმდინარეობდა კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა. იქ ბებუთით მოკლა მოწინავე კოლმეურნე ნოდარ ოსმანის-ძე ხალვაში. მ. კონცელიძემ სცადა გაქცეულიყო, მაგრამ შეიპყრეს.

ამას წინათ აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით მამუდ იუსუფის-ძე კონცელიძეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

1955 წლის 29 ივნისს დღის 13 საათზე მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29) შედგება უმაღლესი სასწავლებლების **საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ლექტორთა რესპუბლიკური თათბირი.**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა გადასამზადებელი ერთთვიანი კურსების დირექცია იუწყება, რომ კურსებზე მივლინებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ქალაქ თბილისში ა. წ. 30 ივნისს.

კურსების მსმენელთა რეგისტრაცია იწარმოებს სტუდენტთა ქალაქის სამმართველოში 30 ივნისს დილის 9 საათიდან. მეცადინეობა დაიწყება 1 ივლისს დილის 9 საათზე.

რედაქტორი ნ. ჯაში.


**თბილისის „დინამოს“ სტადიონი**

1 ივლისს

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

„ზენიტი“ — (ლენინგრადი)

„დინამო“ — (თბილისი)

(დუბლიორთა შემადგენლობა)

დასაწყისი 4 ს. 30 წ.

„ზენიტი“ — (ლენინგრადი)

„დინამო“ — (თბილისი)

(ძირითადი შემადგენლობა)

დასაწყისი 6 ს. და 30 წ.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლიორთა თამაში გადატანილ იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე. ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს 29 ივნისის დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.


მშობლები ლიუდმილა, ლეონტი, ძმა გივი ნათესავებით იუწყებიან **თამილა რატიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI, 8 ს. გამოსვენება 30-VI, 6 ს. კამოს ქ. № 69.

მშობლები ელენე, აპოლონ, ძმა ბაადურ იუწყებიან **კონსტანტინე კეშელავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI, 8 ს. გამოსვენება 30-VI, 6 ს. ერეკლე I ჩიხი № 6.

შვილები კატუშა, კოტე, თამარ, პავლე ოჯახებით იუწყებიან **ვარო დავითის ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI, 8 ს. გამოსვენება 30-VI, 6 ს. კალანდაძის ქ. № 16.

მეუღლე ანია, შვილები ვლადიმერ, ქენია ოჯახებით იუწყებიან **გერასიმე მიხეილის-ძე ხოჭოლავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VII სოფ. ზემო ქვალონში (ხობის რაიონი).

ტრესტ „ავტოტრანსმშენის“ მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ოლღა მიხეილის ასულ შალიკაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VI, 6 ს. ფხოვის ქ. № 3.

მეუღლე ნინა ჩხიკვაძე, დები კაროლია, რივა, ლიზა, ძმები გერმანე, ევნატე, აბრამ ზელკოვიჩები ოჯახებით იუწყებიან **სალია იოსების ასულ ჩხიკვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI, 8 ს. გამოსვენება 30-VI, 6 ს. ნ. ნიკოლაძის ქ. № 5.

მეუღლე ალიოშა ზუმბულიძე, შვილი მზია, და ლიზა ნადარეიშვილი ოჯახებით იუწყებიან **მავრა გიორგის ასულ ქართველიშვილი-ზუმბულიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI, 8 ს. გამოსვენება 30-VI, 6 ს. წულუკიძის ქ. № 1.

შვილები ოთარ, ირა, ელო, მზია, დები ტერეზა, ლუბა ოჯახებით იუწყებიან **გიორგი იოსების-ძე ყანჩაველის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI, 8 ს. გამოსვენება 30-VI, 6 ს. ლენინის მე-2 შესახვევი № 3.

მეუღლე ქეთევან, შვილები ლევან, რევაზ, ბიძინა, შოთა ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **ივანე პეტრეს-ძე ლუტიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VI სოფ. ზედა ალისუბანში (თერჯოლის რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04141 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 14.